საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-559

02/07/2020

ქ. თბილისი

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, შპს „სანიტარის“ წყალსაცავის (თევზსაშენი ტბორის) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „სანიტარის“ მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია წყალსაცავის (თევზსაშენი ტბორის) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ თევზსაშენი ტბორის მოწყობა იგეგმება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. აღთაკლიაში, შპს „სანიტარის” საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 166 349 $მ^2$ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 81.06.26.664). საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან მდ. მტკვარი დაშორებულია დაახლოებით 550 მეტრით, უახლოესი დასახლებული პუნქტი, სოფ. გამარჯვება 660 მეტრით. ტერიტორიიდან დაახლოებით 40 მეტრში გადის ზემო სამგორის სარწყავი სისტემა. განცხადების მიხედვით, 350 მეტრში მდებარეობს შპს „სანიტარის“ საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების ობიექტი და სახიფათო ნარჩენების გაუვნებლების საწარმო (საწარმოო ქიმიური ნარჩენების ნეიტრალიზაციისა და ნავთობით დაბინძურებული ნიადაგების ბიორემედიაციის პოლიგონი), 250 მეტრში გაჯის საწარმო.

სკრინინგის განცხადების თანახმად, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი ტბორის სარკის ზედაპირის ფართობი 15 922,83 $მ^2$-ს, ხოლო მოცულობა დაახლოებით 45 000 $მ^3$ შეადგენს. შპს „სანიტარს“ დაგეგმილი აქვს აღნიშნულ ტბორში 30 ტ/წელ წარმადობის თევზსაშენი მეურნეობის მოწყობა, სადაც გათვალისწინებულია კარპის, სქელშუბლას და საზანის წარმოება. ტბორის წყალმომარაგება, ხელშეკრულების საფუძველზე, მოხდება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ გამავალი ზემო სამგორის სარწყავი სისტემიდან. განცხადების მიხედვით, სატბორე მეურნეობა თვის განმავლობაში მიიღებს 2000 $მ^3$ წყალს, რომელიც დაუბრუნდება ისევ სამელიორაციო სისტემას. წყლისგან დაცლის შემთხვევაში წყლის ჩაშვება მოხდება სამელიორაციო არხში, სადრენაჟე ქსელის გავლით.

საპროექტო ტერიტორია არ ხვდება დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია თავისუფალია მცენარეული საფარისგან და შესაბამისად, პროექტი არ ითვალისწინებს მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე თევზსაშენი ტბორის ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. თუმცა, სამშენებლო სამუშაოების პროცესში, მიწის ექსკავაციისას, სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას და ტექნიკის მუშაობის დროს მოსალოდნელია ატმოსფერულ ჰაერში მტვრის გავრცელება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, თევზსაშენი ტბორის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პროცესში წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო და ინერტული ნარჩენები, რომელთა განთავსება მოხდება მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ ტერიტორიაზე. განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სატბორე მეურნეობის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების და მათი მართვის შესახებ. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას.

განსახორციელებელი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე სამშენებლო სამუშაოების დროს მოსალოდნელია ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება. განცხადების მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების გატანა მოხდება შესაბამის ტერიტორიაზე. თუმცა, შეფასებას საჭიროებს, ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედების საკითხი და ინფორმაცია მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის და ფუჭი ქანების მოცულობების შესახებ.

სკრინინგის განცხადებაში გაურკვეველია რა რაოდენობის წყლის აღება მოხდება წლის განმავლობაში აღნიშნული სარწყავი სისტემიდან, ასევე ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა საშუალებებით მოხდება თევზსაშენ მეურნეობაში წყლის საჭირო რაოდენობის დაგროვება. განცხადებაში არ არის აღწერილი სატბორე მეურნეობაში გამოყენებული ტექნოლოგია, მათ შორის თევზების კვების საკითხები, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ზედაპირული წყლის ობიექტზე (ვინაიდან სამელიორაციო სისტემა, სადაც ხდება წყლის ჩაშვება დაახლოებით 1.37 კმ-ში უკავშირდება მდ. მტკვარს), გრუნტის და ნიადაგის ხარისხობრივ მდგომარეობაზე. აღსანიშნავია, რომ განცხადებას თან ერთვის შპს ,,საქართველოს მელიორაციასთან" საწარმოო დანიშნულების წყლის მიწოდების შესახებ ხელშეკრულება, თუმცა არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია გამოყენებული წყლის ჩაშვების შესახებ, რომელიც ასევე საჭიროებს შეთანხმებას სამელიორაციო სისტემის მფლობელთან. დაგეგმილი ტბორის ექსპლუატაციის ეტაპზე, ტბორის სარკის ზედაპირიდან აორთქლებული ტენის გათვალისწინებით მოსალოდნელია ზემოქმედება ადგილობრივ კლიმატურ პირობებზე, რაც საჭიროებს დამატებით შეფასებას. დოკუმენტაციიდან არ ჩანს ტბორის სამშენებლო სამუშაოების შედეგად გამოწვეული შესაძლო რისკებისა და საფრთხეების შესახებ, მათ შორის გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების საკითხები, რაც მოითხოვს დამატებით შესწავლას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადებით დგინდება, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტში, შპს „სანიტარის" წყალსაცავის (თევზსაშენი ტბორის) მოწყობა და ექსპლუატაცია თავისი მასშტაბით და მდებარეობით გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გარემოზე.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.9 ქვეპუნქტის საფუძველზე,</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტში, შპს „სანიტარის“ წყალსაცავის (თევზსაშენი ტბორის) მოწყობა და ექსპლუატაცია **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „სანიტარი“ ვალდებულია უზრუნველყოს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-8 მუხლით დადგენილი სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „სანიტარს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სანიტარის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი